



ინფლაცია – არსი, გამომწვევი მიზეზები და საქართველო

ნინო ქავთარაძე

ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინფლაციის არსი, სახეები, ტიპები და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები, ასევე ის უარყოფითი შედეგები რომლებიც პრობლემებს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას და მოსახლეობას. ახსნილია ინფლაციის თარგეთირების მნიშვნელობა საქართველოსთვის. გაანალიზებულია ინფლაციის მაჩვენებლები 2015 წლის დეკემბრის და 2016 წლის იანვარი–აპრილის მდგომარეობით, 2017 და 2018 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები, ასევე ის ძირითადი განსხვავება რომლითაც ხასიათდება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სამომხმარებლო კალათა, მასში შემავალი პროდუქტების პრიორიტეტულობის და ოდენობის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, ინფლაციის თარგეთირება, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, ექსპორტი, რეფინანსირების განაკვეთი, სამომხმარებლო კალათა.

შესავალი

ინფლაცია წარმოადგენს ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასის დონის ზრდას, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, განსაკუთრებით უარყოფითად აისახება მისი შედეგები მცირეშემოსავლიან ადამიანებზე. ასევე უარყოფითად მოქმედებს ის ბიზნესზეც, რადგან ამცირებს მის მოგებას, ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, რაც საბოლოოდ

მის მსყიდველობითუნარობაში ჰპოვებს ასახვას.

ინფლაცია შეიძლება დავყოთ შემდეგ ძირითად სახეებად:

- მოთხოვნით გამონეული ინფლაცია;
- ხარჯებით გამონეული ინფლაცია;
- ფასწარმოქმნით გამონეული ინფლაცია;
- სექტორული ინფლაცია.

ინფლაციის მიზეზი ასევე შეიძლება გახდეს სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა, ფისკალური დეფიციტი– დაუბალანსებელი ბიუჯეტი, იმპორტთან დაკავშირებული ფაქტორები, ფულადი გზავნილების ზრდა, დიდი საგარეო ვალით სოციალური ვალდებულებების დაფინანსება.

ძირითადი ნაწილი

„ინფლაცია ნეგატიურ მოვლენებთან ასოცირდება. გარდა ფასების ცვლილებისა, ის დანაზოგებს აუფასურებს, ინვესტიციებს ამცირებს, კაპიტალის გადინებას (უცხოურ აქტივებში, ძვირფას ლითონებში ანდა არაპროდუქტიულ უძრავ ქონებაში) უწყობს ხელს, აფერხებს ზრდას, ეკონომიკის დაგეგმვას კომმარად აქცევს და, თუ უკიდურესი ფორმითაა, სოციალურ და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას იწვევს“. [Inflation Targeting as a Framework for Monetary Policy. IMF Economic Issues No.15]. გარდა ამისა, ინფლაციის შედეგად სულ უფრო მეტად გაუფასურებული ფული დღითიდღე აღარიბებს ქვეყნის მოსახლეობას, რაც, რა თქმა უნდა, დამატებით პრობლემას აჩენს სოციალური თვალსაზრისით. მდგომარეობა რთულდება მენარმე სუბიექტებისათვის, რაც მათ საბოლოო ჯამში აიძულებს შეამცირონ წარმოებული პროდუქციის და დასაქმებულთა რაოდენობა, აღნიშნულს ჯაჭვური რეაქციით მივყავართ უმუშევრობასთან. პრობლემები ექმნება როგორც საბანკო სექტორს, ასევე ნებისმიერი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საფუძველს– ბიუჯეტს, ამ ორი ფუნდამენტური სფეროს შეფერხება იწვევს სირთულეებს ფულად–საკრედიტო სფეროში და ქვეყნის შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლებში, რასაც მივყავართ დეფიციტური ბიუჯეტის საფრთხესთან.

ინფლაციის დროს ფასების ზრდა არ ხდება საქონლისა და მომსახურების უკლებლივ ყველა სახეობაზე, პირიქით, შესაძლოა გარკვეულ საქონელზე ფასი შემცირდეს, ზოგიერთზე კი არც კი შეიცვალოს. ინფლაციის და შესაბამისად ფასების დონის ცვალებადობა, შესაძლოა გაზრდილ მოთხოვნასთან შედარებით წარმოების ჩამორჩენის ან წარმოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დანახარჯების მკვეთრი ზრდის შედეგი აღმოჩნდეს, პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოთხოვნით გამოწვეულ ინფლაციასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – ხარჯებით გამოწვეულ ინფლაციასთან.

ინფლაციის ნეგატიურ შედეგებს შორის აღსანიშნავია ბაზარზე საქონლის გაყიდვების მოცულობის შემცირება, რაც მოსახლეობის მხრიდან მსყიდველობისუნარიანობის შემცირებით აიხსნება, ასევე რთულდება სავაჭრო ურთიერთობები საერთაშორისო დონეზე, საბანკო სექტორს განსაკუთრებული პრობლემები ექმნება საკრედიტო ხაზით, სადაც გაუფასურებული ვალუტით დაბრუნებული სესხით გამოწვეული დანაკარგის შევსებას ის სარგებლის განაკვეთის კიდეც უფრო მეტად გაზრდით ცდილობს, რაც საბოლოო ჯამში ისევ მოსახლეობას აწვება ტვირთად და უფრო მეტად აზარალებს მის შემოსავლებს.

საქართველოში ხდება ინფლაციის თარგეთირება, რაც ფართოდ გამოყენებული მეთოდია განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რადგან იძლევა ინფლაციის წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლის მიღწევის საშუალებას, ანუ მონეტარული პოლიტიკის შემუშავება ხდება მოსალოდნელი ინფლაციური მოლოდინისა და შესაბამისი პროგნოზების, ასევე რისკების შეფასების საშუალებით, თუმცა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ეროვნული ბანკის როლი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის გატარება საკმაოდ რთულია ისეთ ეკონომიკაში, სადაც დოლარიზაციის ისეთი მაღალი მაჩვენებელია როგორც საქართველოში.

არსებობს ინფლაციის რამოდენიმე ტიპი: 1. ზომიერი – როდესაც ფასების ზრდა წელიწადში 10%-ზე ნაკლებია; 2. ჭენე-

ბადი— როდესაც ფასების ზრდა 20%—დან 200%—მდე ხდება და 3. ჰიპერინფლაცია— როდესაც ფულის რაოდენობა და ფასები ძალიან დიდი სისწრაფით იზრდება. [ადეიშვილი გ. ასათიანი რ. —ეკონომიკური თეორია, თბ. 1998 წელი, გვ. 338].

საქართველოში ინფლაციის მაჩვენებლის შენარჩუნება სტაბილურად ერთნიშნა ნიშნულზე ხდებოდა. ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება, პირველყოვლისა ხელს უწყობს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ეს კი მიიღწევა თანმიმდევრული და სწორი მონეტარული პოლიტიკის წარმართვის საშუალებით.


ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი გასულ, მიმდინარე და უახლოეს წლებში ასე გამოიყურება: 2014 წელი – 6%, 2015 წელი – 5%, 2016 წელი – 5%, 2017 წელი – 4%, 2018 წელი – 3%. [საქართველოს ეროვნული ბანკი— „ინფლაციის მიმოხილვა“ თებერვალი 2016].

2015 წელს ექპორტისა და ფულადი გზავნილების შემცირებამ გამოიწვია ინფლაციის მიზნობრივი დონის ცვლილება, რის გამოც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადანყვეტილება გაეზარდა რეფინანსირების განაკვეთი (4%—დან 8%—მდე). ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას ასევე მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო იმ დროისთვის საწვავზე ფასების შემცირებამ.

2016 წლის იანვარში ინფლაციის მაჩვენებელი 2015 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით 0,9%—ით დაფიქსირდა. ფასების ცვლილების მხრივ აღსანიშნავია: სურსათი და უალკოჰოლო სასმელების, ჯანმრთელობის დაცვის, სასტუმროები, კაფეები და რესტორნების კატეგორიები, სადაც ფასების ცვლილებამ შესაბამისად 2,6%, 1,3% და 1,3%—იანი ზრდა შეადგინა. მიმდინარე წლის თებერვალში, იანვართან შედარებით ინფლაციამ 0,1% წარმოგვიდგება. ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე ფასები გაიზარდა 7,5 %—ით, კავშირგებმულობაზე— 4,1%—ით, ხოლო სასტუმროები, კაფეები და მომსახურებაზე— 1,5%—ით. მიმდინარე წლის მარტში, თებერვალთან შედარებით ინფლაცია შემცირდა -0,3%—ით. აღნიშნული ძი-

რითადად გამოიწვია ფასების შემცირებამ შემდეგ კატეგორიებზე: ტანსაცმელი და ფეხსაცმელი -1,8%, სურსათი და უალკოჰოლო სასმელები -1,0%, ტრანსპორტი -0,8%. აპრილში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით -0,6% შეადგინა. ფასები შეიცვალა შემდეგ კატეგორიებზე: ჯანმრთელობის დაცვა, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა, ფასების ცვლილება შესაბამისად მოხდა: -1.9%, 1.6% და -1.3%–ით. მაისში აპრილთან შედარებით ინფლაციის მაჩვენებელი 0.4%–ით შემცირდა, ცვლილება ძირითადად განაპირობა ფასების ცვლილებამ: სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე -1.1%, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო -1.0, ტრანსპორტი 0.6%. [სტატისტიკის ეროვნული სამსახური]. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2017 წელს შეადგენს 4 პროცენტს, 2018 წელს მაჩვენებელი შემცირებულია და წარმოგვიდგება 3%–ით, რაც ძირითადად განპირობებულია ერთობლივი მოთხოვნის, ნავთობსა და სუსრსათზე ფასების მნიშვნელოვანი კლებით.

დიაგრამა 1.2 მთლიანი ინფლაცია, წლიური



აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულება და მოკიდებულია მრავალ შიდა და გარე ფაქტორზე, ასევე ქვეყ-

ნის ეკონომიკისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები და მოზიდული უცხოური ინვესტიციები.

აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განვითარებად ქვეყნებში სამომხმარებლო კალათაში სურსათის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისას. ამ მხრივ საყურადღებოა თურქმენეთი, სადაც სამომხმარებლო კალათაში სურსათი 60 პროცენტითაა წარმოდგენილი, საქართველო 30 პროცენტით, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სომხეთისა და აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებელს, რომელიც 50 პროცენტს უტოლდება. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მაგალითად აშშ-ში სამომხმარებლო კალათაში სურსათის მაჩვენებელი 10 პროცენტია, რადგან შედარებით უფრო პრიორიტეტულია ისეთი პროდუქტები, როგორიცაა გართობა, ტანსაცმელი და ა.შ.

დასკვნა

2014-2018 წლების ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლების, ასევე 2015 წლის დეკემბრის და 2016 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში ინფლაციის კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაჩვენებლების ზრდის ან კლების ძირითადი გამომწვევი მიზეზი არის სურსათზე, უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სასტუმროებზე, კაფეებზე და რესტორნებზე, თამბაქოზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიებზე ფასების ცვლილება.

ყურადღებამისაქცევია ის განსხვავება, რომლითაც ხასიათდება განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების სამომხმარებლო კალათის პროდუქტების შემადგენლობა, სადაც აღინიშნა, რომ სურსათზე ფასების ზრდა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაზე, მითუმეტეს, მდგომარეობა რთულდება, თუ ქვეყანა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმპორტზე.

ლიტერატურა:

1. ადეიშვილი გ. ასათიანი რ.–ეკონომიკური თეორია, თბ. 1998 წელი
2. საქართველოს ეროვნული ბანკი– „ინფლაციის მიმოხილვა“ თებერვალი 2016
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. Inflation Targeting as a Framework for Monetary Policy. IMF Economic Issues No.15

REFERENCES:

1. Adeishvili G., Asatiani R., „Economic Theory”. Tbilisi, 1998 (In Georgian Language);
2. National Bank Of Georgia–”Inflation Report” February 2016;
3. National Bank Of Georgia;
4. Inflation Targeting as a Framework for Monetary Policy. IMF Economic Issues No.15;

**INFLATION – THE ESSENCE, REASONS
OF ITS EXISTENCE AND GEORGIA**

Nino Kavtaradze

PhD Degree in Business Administration

RESUME

The present empirical paper investigates the following issues: the meaning of inflation, its types, reasons of existence, also the main negative results, causing problems to the economy and citizens of the country. In the article is explained the importance of inflation targeting in Georgia. According to December 2015 and January-April 2016 is analyzed the target level of inflation, the inflation target for the years 2017-2018, also the main differences between the developed and developing countries by their consumer baskets consistence, priorities and amount of products.

Key words: Inflation, Inflation Targeting, Target Level Of Inflation, Export, Refinancing Rate, Consumer Basket.